პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 64 (12272)
პარასკევი,
16
ერაგნული
ბიულეტენი
1962
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არქიტექტორთა მეექვსე ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს არქიტექტორთა VI ყრილობის მონაწილეებს.

თქვენი ყრილობა შეიკრიბა იმ ისტორიულ დღეებში, როცა საქართველოს მშრომელები, სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გულმოდგინე, თავდადებული შრომით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის ნათელ პროგრამას. საბჭოთა ადამიანებს ახარებს ჩვენი თვალწუწდენი სამშობლოს მიწაწყალზე დიადი გაკანონებით და ინდუსტრიული მეთოდების ფართო გამოყენებით გაწალილი მშენებლობა. კმაყოფილებით აღენიშნავთ, რომ ამ მშენებლობაში ჯეროვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს არქიტექტორებს.

უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებათა საფუძველზე სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისათვის. არქიტექტორთა მოღვაწეობა უფრო დაუახლოვდა და უფრო აკმაყოფილებს საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ მოთხოვნილებას. წინა პლანზეა წამოწეული მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და ტიპობრივი დაპროექტების საკითხები.

არქიტექტორებს ჯერ კიდევ მცირი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაჭრელი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქების დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის გაუმჯობესების საქმეს. ჩვენს ხუროთმოძღვრებს უნდა ახსოვდეთ, რომ უკვე დღეს ეყრება საფუძველი იმ კვარტალებს, ქუჩებსა და ნაგებობებს, სადაც უნდა იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტური საზოგადოების ადამიანებმა. საქართველოს არქიტექტორების ვალია მეტი გულისყურით მოეკიდონ ჩვენი სოფლების, რაიონული ცენტრების სოციალისტური დაგეგმარებისა და განაშენიანების საკითხებს. ჯერ კიდევ შედარებით ჩამორჩენილი უბანია ტიპობრივი დაპროექტება. არქიტექტორები უნდა გახდნენ ნამდვილი ხუროთმოძღვრები — მშენებლები, რომლებიც იბრძოლებენ თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის, იბრძოლებენ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამისათვის კი საჭიროა უფრო განმტკიცდეს მშენებელი ინჟინრებისა და ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი თანამეგობრობა.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მუშაობა უნდა წარიმართოს რესპუბლიკის არქიტექტორული ძალების შესამჯიდრობლად, არქიტექტურის შემოქმედებითი პრინციპების შემდგომი სრულყოფისათვის. არქიტექტორთა კავშირი თავის წევრებს უნდა ზრდიდეს ხალხის წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის სულისკვეთებით, ხელს უწყობდეს მათ იდეურ და შემოქმედებით ზრდას.

საბჭოთა ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს დიდი საპატიო ამოცანა ხვდათ წილად — აშენონ კომუნისტური საზოგადოების ქალაქები, სოფლები, ქარხნები და ფაბრიკები, საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს არქიტექტორები ღირსეულად გადაჭრიან ამ ამოცანას და ქმედით წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიადი პროგრამის შესრულების საპატიო საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ბ. ნ. პონომარიოვი საქართველოში

რამდენიმე დღეა საქართველოში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ბ. ნ. პონომარიოვი.** სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრის შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვი თბილისში ჩამოვიდა. გუშინ, 15 მარტს იგი გაეცნო რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებას.

დღის პირველ ნახევარში ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. გ. სტურუას და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. რ. ი. ფრუიძის თანხლებით დათვალიერა ქალაქი, ახალშენებათა რაიონები. შემდეგ იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში და შამპანური ღვინოების ქარხანაში. იგი ყველგან გულთბადად მიიღეს.

15 მარტს ნაშუადღევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის კონფერენც-დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული აქტივისა და იდეოლოგიურ მუშაკთა კრება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. გ. სტურუამ.

მოხსენება „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძირითადი პრობლემები" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. ი. ფრუიძე.

საღამოს ამხანაგები ბ. ნ. პონომარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ი. გ. რთველიაშვილი რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დაესწრნენ ინტერნაციონალურ ლიტერატურულ საღამოს, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირმა მოაწყო სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად. (საქდესი).



სიმინდი დოვლათია
კაცობრიობისათვის
ლენინი სიმინდის პროპაგანდის შესახებ

სიმინდი დოვლათია კაცობრიობისათვის, — მოსწრებულად თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამა წლის 9 მარტს, გამოვიდა რა საბოლოო სიტყვით თავისი მოხსენების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ნიკიტა სერგის-ძემ კვლავ და კვლავ განმარტა, თუ რა სიმდიდრე მოაქვს ხალხისათვის საბჭოთა მიწათმოქმედების ამ ძვირფასი, წამყვანი კულტურის უნარით მოვლა-მოყვანას, და დიამოწმა ერთი უაღრესად საინტერესო ისტორიული დოკუმენტი.

— ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, მაღალი შეფასება მისცა სიმინდის ღირსებებს, — გაგვახსენა ნიკიტა სერგის-ძემ. — ჯერ კიდევ 1921 წელს იგი დაბეჯითებით გვირჩევდა ყოველმხრივ გაგვეფართოებინა სიმინდის ნათესები, შეგვემუშავებინა ზუსტი და მოფიქრებული ღონისძიებანი სიმინდის პროპაგანდისა და გლეხთა მიერ სიმინდის კულტურის შესწავლისათვის. ლენინი პარტიის, საბჭოების, საგეგმო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რომ ყოველდღიურად უნდა ეწეოდნენ ამ ძვირფასი კულტურის მოვლა-მოყვანას. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კარგი საფუძველი ჩაეყარა ამ საქმესაც. შემდეგ სიმინდი მოივიწყეს, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას...

ნიკიტა სერგის-ძეს მხედველობაში აქვს ვლადიმერ ილიას-ძის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ხოლო წერილის პირი აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ვ. ვ. ოსინსკის. ეს წერილი, სამწუხაროდ, არ შესულა ვ. ი. ლენინის თხზულებებში და პირველად მხოლოდ 1930 წელს გამოქვეყნდა.



გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი ვ. ი. ლენინის წერილის უკანასკნელი გვერდის ფაქსიმილე.

წერილში დასმულ საკითხებს ლენინი დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას აძლევდა. ამას მოწმობს მისი მინაწერი, რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს სამდივნოს მუშაკებს ავალებს წერილის კიდევ ერთი პირი, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველა წევრისათვის განკუთვნილი, „„ჩამოატარონ", რათა ყველამ წაიკითხოს და წაკითხვის შესახებ ხელი მოაწეროს".

ლენინი საბჭოთა სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღებას უწინარეს ყოვლისა მიაპყრობს სტატიას „შიმშილობა და სიმინდი", რომელიც 1921 წლის 14 ოქტომბერს „პრავდაში" გამოქვეყნდა.

„ამ სტატიასთან დაკავშირებით, — წერს ვლადიმერ ილიას-ძე, — მე უეჭველად მიმაჩნია, რომ სიმინდის საკითხზე სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის დასკვნა (13. IX. 1921; ამხ. სერე, ახლანდელი საშუალებების დროს.

(2) სასწრაფოდ იქნას განხილული, შეიძლება თუ არა პრაქტიკული საშუალებებისა და გზების გამონახვა იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობის, ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებ-

ბის არსებულ პირობებში შემოღებულ იქნას სიმინდი ადამიანთა საჭმ-

ლად (შეად. სახელმწიფო საგეგმო

კომისიის ბარათის 35 გვ.)".

სახელმწიფო საგეგმო კომისიის „ბარათი", რომლის ერთ-ერთ გვერდს აქ იმოწმებს ლენინი, გამოიცა 1921 წელს ცალკე წიგნად სათაურით „რსფს რესპუბლიკის 1921 წლის მოუსავლობით დაზარალებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მეურნეობის აღდგენა და საწარმოო ძალების განვითარება".

ბროშურის 35-ე გვერდზე, რომელიც წერილშია მითითებული, ვლადიმერ ილიას-ძე ენერგიულად უსვამს ხაზს ტექსტში და სამი კითხვითი ნიშნით აღნიშნავს არეებზე შემდგენელთა შენიშვნებს იმის შესახებ, რომ ვოლგისპირეთის გლეხებმა იმ დროს არ იცოდნენ სიმინდის მარცვლის როგორც პირველხარისხოვანი საკვები პროდუქტის გამოყენება.

ლენინი აქ აღნიშნავს აგრეთვე სიმინდის გვალვაგამძლეობის, მისი მაღალი კვებითი ღირსებების დახასიათებას, რომლებიც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ღორების გასასუქებლად და მერძეული პირუტყვისა და ცხენების საკვებად. ვლადიმერ ილიას-ძე ხაზს უსვამს იმის დამოწმებასაც, თუ რა სხვადასხვაგვარ „გამოყენებას პოულობს ეს მცენარე ამერიკელი ფერმერის პრაქტიკაში".

უკანასკნელი გარემოების შესახებ ილაპარაკა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმაც.

— ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები, — თქვა მან თავის საბოლოო სიტყვაში. — ეს არის ქვეყანა, სადაც დიდადგანვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა. მაგრამ წაართვით ამერიკელებს სიმინდი — და ისინი იშიმშილებენ...

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მოუწოდა გულდასმით მოეფიქრათ ღონისძიებანი სიმინდის პროპაგანდისათვის და მიწათმოქმედთა მიერ მისი კულტურის შესწავლისათვის მაშინდელი, ჰეშმარიტად მცირე საშუალებების დროს. სიმინდის თანამედროვე პარტიული პროპაგანდა, რომელიც სამეურნეო მშენებლობის ლენინური იდეების ქმედითი და შემოქმედებითი პროპაგანდის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს, ეყრდნობა სოციალისტური სახელმწიფოს უსაზღვრო და დაუშრეტელ შესაძლებლობებს, სახელმწიფოსი, რომელსაც აქვს საყრდნობი, უაღრესად მექანიზებული მეურნეობები, სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტები და საცდელი სადგურები, სასწავლებლები და კურსები, სახელმძღვანელოები და პოპულარული ბროშურები, კინემატოგრაფია და პლაკატები, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

ნიკიტა სერგის-ძემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე თქვა:

უკანასკნელ დროს ჩვენმა პარტიამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი სიმინდის ნათესების გაფართოებას, გამოავლინა მისი დიდი შესაძლებლობანი. ჩვენ აღმოვაჩინეთ სიმინდის როგორც საკვები კულტურის უძვირფასესი თვისებები არა მარტო ხმელი მარცვლის სახით, არამედ სიმინდის ღეროებისა და ჭყინტლი და ბაზტაროებისაგან დამზადებული სილოსის სახითაც. გავითვალისწინეთ რა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული პირობები, რომლის ძალითაც სიმინდი მეტ წილ რაიონებში არ მწიფდება, ჩვენ ავიღეთ სასილოსე სიმინდის, როგორც თავადი საკვები კულტურის, ფართო მოყვანის კურსი.

ლენინი 1921 წელს სრული საფუძვლით ურჩევდა საბჭოთა მიწათმოქმედებს ესწავლათ ამერიკელი ფერმერებისაგან. ახლა როლები შეიცვალა, და მოწინავე საბჭოთა მესიმინდეები შორს უსწრებენ წინ საუკეთესო ოკეანესგაღმაურ ნიმუშებს.

ჩვენი ეს მიღწევები იდეურად ემყარება ლენინის წინასწარდასახულებებსა და ანდერძს. გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი იმავე წერილში ვლადიმერ ილიას-ძემ დაავალა მას სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციასა და პრეზიდიუმში დაუყოვნებლივ მოეწყო მის მიერ დასმული საკითხების განხილვა „სიმინდის შესახებ აზრთა ყველა ელფერის აუცილებელი მიზიდვით".

ამავე დროს ლენინმა დაავალა ვ. ვ. ოსინსკის წარედგინა მოხსენება „სიმინდის შესახებ", ხოლო გ. მ. კრჟიჟანოვსკის — სახელმწიფო საგეგმო კომისიის სათანადო დასკვნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განსახილველად ჯერ 1921 წლის 21, ხოლო შემდეგ 28 ოქტომბერს.

28 ოქტომბერს საბჭომ მოისმინა ვ. ვ. ოსინსკის მოხსენება სიმინდის თესვის გეგმის შესახებ, მოიწონა იგი და გაშოვყო კომისია ამხანაგების ოსინსკის, ფრუმკინის, პოპოვისა და სტრუმილინის შემადგენლობით, რომელსაც ევალებოდა თვალყური ედევნებინა თესვის გეგმის შესრულებისათვის.

ქვემოთ პირველად ქვეყნდება ლენინის შენიშვნები სიმინდის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის „ბარათზე". დოკუმენტის დედანი ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში.



ВОССТАНОВЛЕНИЕ ХОЗЯЙСТВА
В РЕШЕНИЕ ПРЕЗИДИУМА ГОСПЛАНА
ПРИ СОВНАРКОМЕ Р.С.Ф.С.Р.
ВОССТАНАВЛИВАЕТСЯ ПО ПЕРВОМУ ПУНКТУ
с. 119
ЗАПИСКА
Госплан Р.С.Ф.С.Р.
с. 33, 35

Симинди
Кукурузу

Прошу командировать в с. х. секцию и в специальную обсуждение этих вопросов с обязательным всех образцов симинди и кукурузы.

Доклад в СНО в понедельник 21. X. 1921.

Предсовнарком (Ульянов-Ленин)

ЗАПИСКА

ГОСПЛАНУ Р.С.Ф.С.Р.

ВОССТАНАВЛИВАЕТСЯ ПО ПЕРВОМУ ПУНКТУ

ПРЕЗИДИУМА ГОСПЛАНА ПРИ СОВНАРКОМЕ Р.С.Ф.С.Р.

с. 119

с. 33, 35

ВЛ. УЛЬЯНОВ (ЛЕНИН)

NB

???

NB

ЗАПИСКА

ГОСПЛАНУ Р.С.Ф.С.Р.

ВОССТАНАВЛИВАЕТСЯ ПО ПЕРВОМУ ПУНКТУ

ПРЕЗИДИУМА ГОСПЛАНА ПРИ СОВНАРКОМЕ Р.С.Ф.С.Р.

с. 119

с. 33, 35

ВЛ. УЛЬЯНОВ (ЛЕНИН)

NB

NB

„ИЗВЕСТИЯ" 14/III.

გულთგილი შეხვედრები

ლენინგრადი, 15 მარტი. (საკდესი). კიროვის საარჩევნო ოლქის ორი ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, სტუდენტი, ინტელიგენციის წარმომადგენელი შეიკრიბა დღეს გორკის სახელობის კულტურის სასახლეში. აქ ვაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან **ფროლ რომანის-ძე კოზლოვთან.**

სიტყვა წარმოთქვა ფ. რ. კოზლოვმა, რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ერევანი, 14 მარტი. (საკდესი). დღეს ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ერევნის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრება. ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ანასტას ივანეს-ძე მიკოიანს.**

სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ვეტროზავოდსკი, 13 მარტი. (საკდესი). დღეს აქ მუსიკალურ-დრამატული თეატრის შენობაში ონეგის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ო. ვ. კუუსინენს.**

სიტყვა წარმოთქვა ო. ვ. კუუსინენმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობა

15 მარტს მუშაობა დაიწყო საქართველოს არქიტექტორთა VI ყრილობამ. ხუროთმოძღვართა მრავალრიცხოვანი რაზმის — რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი შემოქმედებითი ორგანიზაციის წარმომადგენელები შეიკრიბნენ, რათა განიხილონ ქალაქთმშენებლების უმნიშვნელოვანესი ამოცანები პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიხედვით, დასახონ მისი შემდგომი განვითარების გზები.

დილადანვე ყრილობის დელეგატები შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. ესწრება მრავალი სტუმარი — მოწინავე მშენებლები, დამპროექტებლები, მეცნიერები, მხატვრები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. ყრილობაზე ჩამოვიდნენ მოსკოვის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლიტვის, ესტონეთის არქიტექტორთა კავშირების წარმომადგენლები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის უხუცესმა არქიტექტორმა, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **მ. შავიშვილმა.** ჩვენ შევიკრიბეთ ღირსშესანიშნავ დღეებში, ამბობს იგი, როცა საბჭოთა ხელოვნების მუშაკები მთელ ხალხთან ერთად უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობებს. არქიტექტორების წინაშე ყველაზე ფართო პერსპექტივები გადაშლილა შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ჩვენ წვლილი უნდა შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ორ ათწლეულში განვაახორციელოთ თავისი მასშტაბით უმეგალითო ქალაქმშენებლობა, რის შედეგად სავსებით გარდაიქმნება ჩვენი ქალაქები და სოფლები.

საქმიან პრეზიდიუმში ირჩევენ ამხანაგებს **გ. ჯავახიშვილს, გ. გეგეშიძეს,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ა. ლაბახუას,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს **ბ. ლორთქიფანიძეს,** სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მდივანს **ა. შაროვს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს **გ. ჩუბინაშვილსა** და **კ. ზავრიევს,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს **ი. ცინცაძეს,** თბილისის მთავარ არქიტექტორს **ი. ჩხენკელს** და სხვებს.

შემდეგ ირჩევენ ყრილობის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს — სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს. მტკიცდება რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის ანგარიში;
2. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **გ. გეგეშიძეს.** მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის არქიტექტორთა ყრილობისადმი. შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მისალმებას.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილმა წევრმა, არქიტექტორმა **მ. გულუამ.**

ყრილობის მონაწილეებს და მათ შორის რესპუბლიკის ყველა არქიტექტორს გულთბადდ მიესალმნენ საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ზ. ლეჟავა** და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი **ო. ეგაძე.**

შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის ძეგლთა არქიტექტორმა **შ. ბალაშვილმა,** ბათუმის მთავარმა არქიტექტორმა **დ. კოპაძიძემ,** თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტმა, არქიტექტორმა **ლ. სუმბაძემ,** მხატვარმა **გ. იუსტინსკაიამ,** არქიტექტორებმა **შ. თავაძემ, ს. რევიშვილმა, გ. ჩიგოგიძემ, თ. კვირკველიამ, თ. ფოცხიშვილმა, ს. კინწურაშვილმა, ნ. მგალობლიშვილმა,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა **გ. გარაყანიძემ.**

ორატორებმა ილაპარაკეს თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ოსტატთა შემოქმედების წარმატებებზე, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივებზე, საბჭოთა ქალაქთმშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, აღნიშნეს ორატორებმა, არქიტექტორების წინაშე დააყენეს დიდმნიშვნელოვანი, პასუხსაგები ამოცანები. ისინი მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

გულთბილად მიესალმნენ და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს ყრილობის მონაწილეებსა და მათი სახით საქართველოს ყველა არქიტექტორს უკრაინის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. გოლოვკომ** და ესტონეთის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **მ. პორტმა.**

16 მარტს საქართველოს არქიტექტორთა VI ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

* * *

სურათზე: საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან) **ლ. სუმბაძე, რ. აგაბაბიანი, ნ. გავრილოვა** და **დ. ლობაძე** საუბრობენ შესვენების დროს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

უკანასკნელ საათის

ინგლისი კვლავ უარყოფს შვეიცის წინადადებას

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ კვლავ უარყო შვეიცის წინადადება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი, განაცხადონ, რომ უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ ატომურ შეიარაღებაში, განზრახული არა აქვთ თვითონ აწარმოონ ატომური იარაღი და არ მისცემენ ნებას შეინახონ ატომური იარაღი თავიანთ ტერიტორიაზე, როგორც თავისთვის, ისე რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა უ ტანმა კითხა ინგლისის მთავრობას, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მთავრობებს, თუ როგორ ეკიდება იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1961 წლის 24 ნოემბრის რეზოლუციას, რომელიც მიღებულია შვეიცის წინადადების საფუძველზე.

გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ინგლისის პასუხი გაეგზავნა უ ტანს 9 მარტს და, თუმცა ოფიციალურად პასუხის შინაარსი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ უარყო გაზეთების ის ცნობები, რომ ინგლისის მთავრობამ დაიკავა უარყოფითი პოზიცია ამ რეზოლუციის მიმართ, რომელსაც მან მხარი არ დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც.

ვაშინგტონი ზრდის შეიარაღებულ ძალებს

ვაშინგტონი, 15 მარტი. (საკდესი). თავდაცვის სამინისტრომ გუშინ გამოაცხადა, რომ ამერიკის არმიაში გაწვეულია კიდევ ექვსი ათასი კაცი.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში შეერთებული შტატები შეკვიდნენ გაძლიერებული გამალებით შეიარაღების ახალ ფაზაში, არმიაში გაწვეულთა რიცხვი შეადგენს 135 ათას კაცს.

გატაცებული კვერთხი ტეჰასში იპოვეს

კაირო, 14 მარტი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჯონ ბაროომ აცნობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრს სარვათ ოკაშს, რომ აღმოჩენილია ბრინჯაოს კვერთხი, რომელიც ნაწილია ფარაონ ტუტანხამონის ცნობილი ხის ქანდაკებისა და რომელიც დაიკარგა ძველი ეგვიპტური კულტურის უძვირფასესი ძეგლების მოძრავი გამოფენიდან. ეს გამოფენა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელისუფლებმა მოაწყვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სადემონსტრაციოდ.

როგორც დეპეშათა საagენტოები იუწყებიან, კვერთხი აღმოაჩინეს ტეჰასის შტატში და ვითომდა დაკარგული იყო გამოფენის ექსპონატების ტრანსპორტირების დროს.

მოძავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის

ჰავანა, 15 მარტი. (საკდესი). კუბელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა 1957 წლის 13 მარტს პრეზიდენტის სასახლეზე რევოლუციური სტუდენტობის გმირული თავდასხმის მეხუთე წლისთავი. ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ჰავანის უნივერსიტეტის შენობასთან გაიმართა კუბის დედაქალაქის სტუდენტთა და მშრომელთა მასობრივი მიტინგი. მიტინგზე მკითხველი სიტყვა წარმოთქვა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტროს.

მ. პ. გიორგაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ფოლადის გზებზე

დეპუტატობის კანდიდატი

თებერვლის სუსხიანი ღამეა. ელმავლის შუქი ანათებს გზას, შუქი ეცემა კლდეებს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. მორბიან ლიანდაგები, მორბიან და ორთქლმავლის ბორბლებქვეშ იკარგებიან... წინ კიდევ მრავალი კილომეტრია.

კაბინაში თბილა. ორნი სხედან — მემანქანე და მისი თანაშემწე: ზურაბ გელეიშვილი და ზურაბ გულდედავა.

საპის სახელურზე დევს კუნთმაგარი მარჯვენა. გზას ორი წყვილი თვალი გასცქერის, დაჟინებით, ფხიზლად.

შორს სემაფორის მწვანე შუქი კიაფობს. სემაფორი ძველი ნაცნობია.

გარბიან სადგურები — სალიეთი, ბეღლევი, მარტოთუბანი...

მატარებელი ზესტაფონში გააჩერეს. კაბინიდან ძირს ჩამოდიან, მუხლის გამართვაც კარგია, ცივი ნიავით შუბლის გაგრილება.

გამსინჯველმა ჩამოუარა შემადგენლობას.

— გზა მშვიდობისა, ზურაბ, ყველაფერი წესრიგშია.

ისევ აკიაფდა მწვანე შუქი.

გელეიშვილებს ოჯახში ერთადერთი ვაჟი ყავდათ. ზურაბს ძლივს ახსოვს მამა. ქვრივ დედას მოუხდა ოთხი შვილის გაზრდა — სამი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის. ზურაბი ყველაზე უმცროსი იყო.

წამოიზარდა ბიჭი და დედას ახალი საზრუნავი გაუჩნდა: გზაზე უნდა დაეყენებინა შვილი, პროფესია აერჩიათ. 1943 წელი იყო, დიდი სამამულო ომის მრისხანე წელი.

— მემანქანეობას ვისწავლი, — უთხრა ზურაბმა ჯერ დებს, მერე დედას. იკამათეს, იმსჯელეს, ბოლოს შეთანხმდნენ ყველანი.

სწავლას ერთი წელი დასჭირდა. 1944 წელს კი სამტრედიის რკინიგზის ტექნიკუმიდან პირდაპირ სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში გაგზავნეს ზურაბი. 6 თვეს ზეინკალი იყო, სამ წელიწადს მემანქანის თანაშემწედ იმუშავა ოსეთ ჯვარშეიშვილთან, ხან მკაცრი და მოუკარებელი, ხან მამასავით ალერსიანი და გულთბილი იყო ოსები, კარგადაც შეასწავლა მემანქანეობა.

1947 წელს თბილისში ზურაბმა გამოცდები ჩააბარა და მემანქანის კვალიფიკაცია მიენიჭა.

...სამშობლო სამამულო ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ფართოდ გაიშალა ელექტროფიკაციის სამუშაოები. ორთქლმავალი ელმავლმა შეცვალა.

სამტრედიაში პირველი ელმავალი გამოჩნდა. დეპოში კარგად იცოდნენ მისი ფასი. თბილისდან მოთხოვნა მოვიდა, მოწინავე მემანქანეებს იწვევდნენ ახალი პროფესიის შესასწავლად. რჩეულთა შორის ზურაბიც იყო. უხაროდა, კარგი ხანია ამ ელექტროგიგანტისაკენ მიიწევდა გული.

გულდასმით შეისწავლა რთული ელექტრომოწყობილობა და ელმავლის პულტიც მოსინჯა იმავე წელს.

მას შემდეგ სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში ელმავლის მემანქანედ მუშაობს ზურაბი. ჭიათურის, ფოთის, ბათუმის უბნებზე დაქროლებს სახალხო-სამეურნეო დოვლათით დატვირთულ შემადგენლობებს, კარგი საქმისთვის დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნებით, ქების სიგელებით, ფულადი პრემიებით.

გასულ წელს ზ. გელეიშვილმა 102 მძიმეწონიანი შემადგენლობით გადაზიდა 89.267 ტონა ზეგეგმითი ტვირთი, საათში საშუალოდ 8 კილომეტრით გაადიდა ტექნიკური სიჩქარე. ამ გზით 120 პროცენტით შეასრულა ტვირთზიდვისა და გადარბენის დავალება.

სამტრედიის რკინიგზის კლუბში ტევა არ იყო იმ საღამოს. აქ შეიკრიბნენ მევაგონეები, მეკავშირეები, მემანქანეები. სტუმრებიც იყვნენ ახლომახლო რაიონებიდან. წინასაარჩევნო კრებაზე უნდა დაესახელებინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

ტრიბუნაზე ავიდა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსი მიხეილ ჭანჭალეიშვილი. დარბაზში სიჩუმე იყო, შემდეგ ატყდა ტაშის ცემა. ზურაბს ახსოვს, პირველი ზურაბ გულდედავა გადაეხვია თავის უფროს მეგობარს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რკინიგზელები, მათ შორის ზოგი ზურაბის თანამოსაქმე იყო. ლაპარაკობდნენ, აქებდნენ, მხარს უჭერდნენ მის კანდიდატურას, და ის, რაც მაშინ გაჩაღდა ზურაბმა, არ იყო მხოლოდ სიამაყე საკუთარი კაცობის შეგნებისა, ეს იყო სიხარული ყველა იმ ადამიანისა, რომლებიც დღისით და ღამით, დარსა და ავდარში ყველაფერს აკეთებენ, რათა მატარებლებმა დაუბრკოლებლად იქროლონ ფოლადის გზებზე.

სამტრედიის სადგურიდან ლიანდაგები იყოფა. ერთი გზა სოხუმისაკენ უხვევს, მეორე — ბათუმისაკენ. ფოთსაც საკუთარი ხაზი აქვს. ზურაბმა, დეპოში რომ გამოუძახებენ, არ იცის საით უნდა გასწიოს თავისი ელმავლით. მაგრამ იცის — გზა ნაცნობია, თვითეული მოსახვევი, ალმართი და დალმართი შესწავლილი. იცის ისიც, რომ დანიშნულების ადგილას დროულად უნდა მიიყვანოს სახალხო დოვლათით დატვირთული შემადგენლობა.

საჭეს მიუსხდებიან ორნი: მემანქანე და მისი თანაშემწე. თანაშემწემ, ახლახან დაიწყო თავისი შრომითი გზა, კარგადაც დაიწყო, კმაყოფილია მემანქანე. ხან მკაცრობს, ხან ალერსიანია მოწაფის მიმართ. მაგრამ სჯერა, მოვა დრო, და კარგი შემცვლელი ეყოლება მემანქანეთა უფროს თაობას.

გუგუნებს ელმავალი, მსუბუქად მიჰქრის. სემაფორი გამოჩნდება, ისიც ძველი ნაცნობია.

კიაფობს მწვანე შუქი: გზა ხსნილია!

გარბიან ანძები, ლიანდაგები იკარგებიან ბორბლებქვეშ... წინ მრავალი კილომეტრია. წინ არის წლები და ათეულათასობით კილომეტრი... წინ მთელი ცხოვრებაა—დიდი და საინტერესო. ვინ იცის, კიდევ რამდენი მძიმეწონიანი მატარებლის გადაყვანა მოუხდება ზურაბ გელეიშვილს, კიდევ რამდენ ტონა ტვირთს გადაზიდავს თავისი ხალხის საამოდ და სასიხარულოდ...

იცის სახელოვანმა მემანქანემ, რომ ყოველი გარბენილი კილომეტრი ამოკლებს გზას კაცობრიობის საბოლოო მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ, იცის, რომ მისი მატარებლით გადაზიდული ყოველი ტონა ტვირთი შეეწყობა და შეემატება საერთო-სახალხო დოვლათს.

იცის ზურაბ გელეიშვილმა და სწამს, რომ ის შვილია იმ ბედნიერი თაობისა, რომელიც საკუთარი მარჯვენით ამშენებს კომუნიზმის იმ დიად შენობას, რომელშიც თავად მოუწევს ცხოვრება. ეს რწმენა ეშმსა და სალამაზეს ანიჭებს მას.

თ. გაგელია.

* * *

სურათზე: ზ. გელეიშვილი.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაანალეს სოციალისტური შეჯიბრება და დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს. რედაქციაში მოდის სასიხარულო ცნობები ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების შესახებ.

□ □

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიღსაადიდო საამქროს კოლექტივმა თებერვლის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულა. საამქროს კოლექტივი უკვე რვა თვეა პირველობას არავის უთმობს.

საამქროში ყველას გაუსწრო და მოწინავე კოლექტივის სახელი მოიხვეჭა იმ ცალმა, რომელსაც გ. ბოკორაშვილი ხელმძღვანელობს.

გ. ჯაბუა.

ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის მიერ დამზადებული მიწისმწოვი მანქანები იგზავნება არა მარტო ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც.

წელს ქარხანაში შეუდგნენ ახალი კონსტრუქციის მანქანების გამოშვებას. პირველი ასეთი მანქანები უკვე გაგზავნა არაბეთში. უახლოეს პერიოდში კიდევ გაგზავნიან ხუთ მანქანას. მათ ასაწყობად გაიგზავნება სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც ადგილზე დაეხმარება აგრეთვე კადრების მომზადების საქმეში.

სულ უფრო ფართოვდება ქარხნის საწარმოო სიმძლავრე. წარშანდელთან შედარებით წელს 2-ჯერ გადიდდება პროდუქციის გამოშვება, ხოლო შვიდწლედის ბოლოსათვის — 7-ჯერ.

კ. კომპასიძე.

ახალციხე. (საკ. კორ.). აქტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი წარმატებით იბრძვის შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის.

აქტმომპოვებლებმა 119 პროცენტით შეასრულეს აქტის მოპოვების იანვართებერვლის დავალება და ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს სამშობლოს. უკვე აპრილის ანგარიშში მუშაობენ ლევან და იასონ მჭედლიძეების, ვაჟა მაღლაკელიძისა და ვახტანგ ლაცაბიძის გამყვანთა ბრიგადები.

ზიარეთი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა რგანის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ა. ფხალაძე, პარტბიუროს მდივანი ა. სხირტლაძე). მან 10 მარტისათვის გადაკაბადონ შაასტლა შვიდწლედის მეოთხე წლის პირველი კვარტალის დავალება და აპრილის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს უკვე გაუგზავნა რამდენიმე ეშელონი მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

წულუკიძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც მახარაძეს თანამოსაქმეებს ეჯიბრება, დიდი აღმავლობით ეწევა არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტს. ფეიერვერმა მიმდინარე წლის ორი თვის დავალება 103,8 პროცენტით შეასრულეს და 74.500 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

განვლილ პერიოდში ფაბრიკის კოლექტივმა დაზოგა ასობით კილოგრამი აბრეშუმის პარკი და ძაფი, 47 ტონა საწვავი და 41 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. თვითღირებულების შემცირების გზით ეკონომიის ფონდში უკვე შეტანილია 12 ათასი მანეთი.

გორჯომი. (საკ. კორ.). შუშის ქარხნის კოლექტივი ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს. ორ თვეში გეგმის ზეგით დამზადებულია 300 ათასი ცალი ბოთლი. ის ბრიგადები, რომლებსაც გ. გოგოლაძე, თ. ლომაძე, უ. შალუტაშვილი ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურ დავალებებს 125-130 პროცენტით ასრულებენ.

ქარხანაში დათქმულ ვადაში დამთავრდა მეორე ღუმელის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამის შედეგად ამ ღუმელის წლიური წარმოება შვიდი მილიონი ბოთლით გაიზრდება.

ᲖᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ

მეტალურგები საარჩევნო ვახტზე

ზესტაფონის ფერომშენადნობთა ქარხნის პირველი საამქროს ის ცვლა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გამორჩევა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით. ჩვენ არ ვიცით დავალების შეუსრულებლობა, წუნდებული შენადნობი, უყაირათო მუშაობა. ჩვენი ცვლა, სადაც ასზე მეტი მეტალურგი მუშაობს, მუდამ გეგმის გადამეტებით იძლევა ლითონს, ზოგავს ელექტროენერგიას, აუმჯობესებს ტექნოლოგიას და შენადნობთა ხარისხს. ამჟამად ცვლის კოლექტივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებებს საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს.

განსაკუთრებული თავდადებით მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ლითონის დნობის ოსტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ლ. კობახიძე უძღვება. მას შრომაში არ ჩამორჩებიან გ. ნანიტაშვილის, ნ. ბოგვერაძისა და ვ. უანჩაველის ბრიგადები.

ჩვენ კვლავაც გავაძლიერებთ მუშაობის ტემპს, სამშობლოს მივცემთ ზეგეგმითს ლითონს, დავზოგავთ ელექტროენერგიას.

გ. მელქაძე,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი საამქროს ცვლის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲔᲠᲔᲓᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲒᲘᲢᲞᲣᲜᲥᲢᲘ

ფორიდანვე იტაცებს თვალს სოფელ ერედვის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი, რომელიც კულტურის სახლის შენობაშია მოთავსებული.

ორსართულიანი შენობის ფასადზე გაკრულია წითელი მატერია, რომელსაც ლამაზი ასოებით აწერია: „18 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!“ „გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!“, „დიდება კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებს!“.

აგიტპუნქტში კედელზე ჰკიდია ერედვის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ადამიანების პორტრეტები. აი ისინიც. ახალგაზრდა მწველავი ცირა ვახტანგაშვილი, რომელმაც მიმაგრებულ თვითეულ ძროხაზე 1.430 კილოგრამი რძე მიიღო. კოლმეურნე ნ. ბერუაშვილმა 20 ჰექტარი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე 61 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა და სხვ.

მაგიდებზე აწყვია ახალი ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საჭირო ლიტერატურა.

აგიტპუნქტში გამოდის კედლის გაზეთი „აგიტატორის ხმა“.

ყურადღებას იპყრობს მისი ახალი ნომერი, მასში მოთავსებული წერილები: „საპატიო საქმე“, „ჩემს საააგიტაციო უბანში“, „როგორ მოვემზადოთ აგიტსაუბრისათვის“ და სხვ. დიდი ინტერესით იკითხება.

აგიტპუნქტის ხშირი სტუმრები არიან გ. მაისურაძე, ნ. ბორცვაძე, ი. ბერუაშვილი, ისინი, ვინც ჯერ პირველად მოიხდის მოქალაქეობრივ ვალს — ხმას მისცემს ხალხის ღირსეულ კანდიდატებს და თავის სიხარულს უანგარო შრომით გამოხატავს.

ქების ღირსი არიან ახალგაზრდა აგიტატორები ნელი ბორცვაძე, ნანული ქრისტესიაშვილი, თინა ყუჟიაშვილი, ოთარ ქრისტესიაშვილი, რომლებიც საააგიტაციო მუშაობას ეწევიან ქრისტესიანთ და ბორცყუანთ უბნებში. აძლევად აგიტატორები გულმოდგინედ აცნობენ ამომრჩევლს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებს.

ს. ცოტნიაშვილი,

ცხინვალის რაიონი, სოფელი ერედვი.





ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ

რა არ შეუქმნია ადამიანის მარჯვენასა და გონებას: ზღაპრად თქმული სინამდვილედ უქცევია, ბუნებას შებრძოლებია და გმირულად გაუმარჯვნია. ადამიანს სიყვარულით აუშენებია საზელმოხვეჭილი, ულამაზესი ქალაქები, ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოს დედაქალაქები.

მაგრამ არიან ქალაქები, რომლებსაც ერთვიათად ახასენებენ, რომლებიც ვერ მოხვედრილან სახელგანთქმული ქალაქების რიცხვში. ისინი გამოირჩევიან თავიანთი კოლორიტით, ხნოვანებით. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ბობოქრობდა ალექსანდრია და კაირო, უსახლკარო იყო ანკარა და სტამბოლი, ერთ პატარა მიწის კუთხეში, იქ, სადაც რიონი მთას თავს აღწევს და ვაკეზე მდორედ მოედინება, კაცის ხელმა აღაშენა კოტაია ანუ ქუთაისი.

ვინ იცის რამდენი შემოტევა, დანგრევა, კვლავ აღდგენა განუცდია ქუთაისს, მაგრამ მის მკვიდრებს, მის კალთაში აღზრდილებს ყოველთვის მკერდი დაუცავთ კოლხეთის დედაბუმის სახელი და მომავალი თაობისათვის შემოუნახავთ მისი დიდება.

გაქრა, წარსულს ჩაბარდა უძველესი ქალაქის უღიმღამო სახე. ახლა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსონატებით, ფოტოსურათებით და წარსულის სხვა რელიკვიებით თუ აღადგენთ მეხსიერებაში ძველი ქუთაისის სახეს.

დუმს ქუთაისი თავის წლოვანების გამხელაში... მრავალფერგამოვლილს, წელთა სიმრავლისაგან დამძიმებულს, ულამაზესსა და განქიმულ ქალაქს არც იმის მოგონება სურს, თუ როგორ გაპარტახებული, გაძარცული ჩაბარდა საბჭოთა საქართველოს. მაშინ ქუთაისი ეკონომიურად დაბეჩავებული, მოუწყობელი იყო. მაგრამ ამაოსს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ინდუსტრიულ ქალაქად, სავარდო და სამაისო ქალაქად გადაქცია იგი, აღრე მუქთახორა ელემენტების ადგილსამყოფელი, წვრილი კუსტარული, მინამრეწველთა და დაკინინებულ თავადაზნაურთა ბუდე, მცირედ დასახლებული, ხის სახლებით, ვიწრო, ტალახიანი ქუჩებით, მბეჭუტავი ფარნებით „შემკული“.

ქუთაისის კოლორიტის თავისებურება ისე რელიეფურად და მკვეთრად არის გამოხატული, რომ ის ნახვისთანავე გეცემათ თვალში, სწორედ ამით განირჩევი იგი მსოფლიოს სხვა რომელიმე ქალაქისაგან.

როგორც თბილისში გავლისას, რაგინდ თავდახრილი უნდა მიახოკვიდე, მაინც ახედავ მამადავითს, ისე ქუთაისელი კაცი ვერ მოისვენებს, თუ დასვენების ჟამს არ ეწვია და თვალი არ შეავლო ბაგრატის ტაძარსა და უქიმერიონს.

უქიმერიონიდან ჩამოსული უიმეველად ეწვევიან იმერეთის მეფეთა სასახლეს — ოქროს ჩარდახს. თუმცა ის ამჟამად ნასახლარს წარმოადგენს, მაგრამ მრავალი ვერ-ვარამის მომსწრე სიძველის მაუწყებელია.

ქალაქის ცის მოხდენილობა და სიმშვენიერე საყოველთაოდ ცნობილია და იგი ნიჭიერი, მაღალი გემოვნების მხატვრის ფუნჯს ელის.

ძველი და ახალი ქუთაისის კოლორიტში თვალმარგალიტად დგას ქალაქის ცენტრალური ბაღი და მისი კიდე. ძველად ამ ბაღს სილამაზეს ამატებდა უსაქმური თავადებისა და ახალგაზრდების ფუჭსაკატური ყოფა. ისინი თავიანთი ქცევით ამაბიჯებდნენ ქალაქის საზოგადოებრივ კოლორიტს. სოციალისტური ყოფის დამკვიდრებამ ბოლო მოუღო ამ მავნე ჩვეულებას და ძირფესვიანად შეცვალა ქალაქის საზოგადოებრივი კოლორიტი სახე.

ქალაქის საზოგადოებრივი კოლორიტის შეცვლასთან ერთად თითქოს ბუნებამაც იცვალა ფერი, უფრო დამშვენდა და გალამაზდა ქალაქის ცენტრი. ბაღი და მისი კიდე უფრო მიმზიდველი გახდა. მთავარი ქუჩის ის ნაწილი, რომელიც ბაღს გასდევს, თავისი სილამაზითა და კოლორიტული კოპწიაობით, თითქოს რუსთაველის პროსპექტს ეჯიბრება. ამ ქუჩისა და ბაღის კიდის მშვენებას წარმოადგენს ენით აუწერელი სილამაზე „ირმის რქის“ ხეებისა. მისი ამწვანებული ტოტები ნაზად ეღიმის ქუჩაში გამვლელს. ქუთაისის კოლორიტს სპეციფიკურობა მკვეთრად არის გამოხატული არა მარტო ბუნების სილამაზეში, არამედ ქუთაისელების პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დაინგრა ძველი ქოხმახები და მათ ადგილზე აშენდა ვეებერთელა მრავალსართულიანი სახლები. ლამაზ ეზოებს ამშვენებს ხეხილის ბაღები. ბევრგან თვალს იტაცებს ქართული სტილის ავენების სვეტებზე აყოლებული ვაზი და სხვადასხვა მცენარეები. ქალაქში დეკორატიული და ხეხილის ბაღების სიმრავლე დღეს ისეთ სურათს ქმნის, თითქოს ქუთაისი ვეებერთელა მწვანე მასივში იყოს ჩასმული. ესეც მისთვის დადახასიათებელი ადგილობრივი კოლორიტია.

როგორც საიდუმლოებით მოცულია ქუთაისის წლოვანება, ისე ბევრი ამოუცნობი კომპონენტია ამ ქალაქში. ძნელია სხვაგან წააწყდეთ გარეუბანთა და კუთხეთა ისეთი უიანაურ საზელწოდებებს, რომლებსაც აქ შეხვდებით: საფიჩხია, ბალახვანი, ოფასკური, მწვანეყვავილა, გოკოური, ჯომა, სპორია, ბაკისუბანი. მართალია, ქალაქის ეს გარეუბნები ალარ ჰგავს ძველ უბნებს, ისინი ახლა ქალაქის ინდუსტრიულმა მშენებლობებმა გააკეთილშობილეს, კეთილმოწყობილ სამრეწველო კუთხედ აქციეს, მაგრამ თავისებურ კოლორიტულ სახეს მაინც ინარჩუნებენ.

თუ ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა წარსულის დიდების ნიშნად დაგვიტოვეს გეგუთი, გელათი და ბაგრატის ტაძარი, ჩვენს მომავალ თაობას შეუძლია დიდი პატივისცემით წარმოთქვას მეოცე საუკუნის საბჭოთა ეპოქის მშენებელთა სახელი, რომელთა მარჯვენამ და ნათელმა გონებამ ააგო მონუმენტური თეატრი, ათობით ფაბრიკა-ქარხანა, ჰიდროელექტროსადგურები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, ქუჩები და ხიდები.

როგორია ძველი და ახალი ქუთაისის სურათები: ძველად ქუთაისი, სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. დამახასიათებელია, რომ ქალაქის განვითარება ხდებოდა სრულიად უგეგმოდ, ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე აგებდა თავის საცხოვრებელ სახლებს.

1916 წელს გაზეთი „იმერეთი“ წერდა: „ქუთაისისათვის დამახასიათებელია ვიწრო, ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები... ჩამოქცეული, შემოტრული, ფანჯრებჩამტვრეული, სახურავაცლილი სახლები, ნაგვით სავსე ღუქნები. ქუთაისში სასირცხვილოდ ითვლება, თუ ორსართულიან სახლს კიბის რამდენიმე თვალი არ აკლია, თუ შუშის მაგიერ ქაღალდი არ არის მიკრული...“

დღევანდელი ქუთაისი... როგორ გამოიყურება იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების წინწ გასაოცრად დამშვენდა, გაიზარდა მისი მოსახლეობა, მრეწველობა და კომუნალური მეურნეობა.

გაქრა, ისტორიულ წარსულს ჩაბარდა ძველი ქუთაისის უღიმღამო სახე. სადღა არის ქუთაისისათვის ესოდენ დამახასიათებელი ეტლი. წარსულს ჩაბარდა მბეჭუტავი გაზის ნათურები.

ლენინის ინიციატივით ქუთაისში შეიქმნა პირველი საწარმო — მაუდის ფაბრიკა, რომელიც ახლა ასეულათასობით მეტრ ძვირფასი ხარისხის შალეულს უშვებს; რამდენიმე წლის შემდეგ მას მიემატა აბრეშუმკომბინატი. მისი ყოველწლიური სიმძლავრე 15 მილიონ მეტრ ქსოვილს აღემატება. გარდა ამისა, ქუთაისში აიგო მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალი საწარმო. მაგრამ მთავარი ადგილი მაინც მძიმე მრეწველობას უჭირავს. საავტომობილო და ელექტრომექანიკურმა ქარხნებმა რუსპუბლიკის და თვით ჩვენი დიდი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც კი გაიტანეს ქუთაისური მარკის პროდუქციის ღირსება.

დღეს სიამაყის გრძნობით ივსები, როცა ამჟამად კულტურისა და დასვენების პარკიდან დასცქერი ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულ, ბაღად ქცეულ სამაისო ქუთაისს, მის ფართო მოასფალტებულ ქუჩებს, დიდებულ შენობებს, ეტლების ნაცვლად ლაღად მოსრიალე „ზიმებს“, „ვოლგებს“, „პობედებს“, „მოსკვიჩებს“ და შენდა უნებურად გაგონდება პოეტის სიტყვები:

„არ ჰგავხარ ჩვენი ბავშვობის ქალაქს,
ხარ უფრო მთელი და ჭიშკრიანი,
შენს შესანიშნავ ხავერდის ბალახს
ესმის ათასჯერ მეტი შრიალი“.

ვისაც ოთხიოდე წლის წინათ უნახავს ქუთაისი, ვეღარ იცნობს მას. ახალმა სამრეწველო უბნებმა განუზომლად გაზარდეს ქალაქის ინდუსტრიული ბაჯიანობა.

ქუთაისის მშვენებაა შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი: ქალაქის ცენტრალური მოედანი, ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სამრეწველო კომბინატის ადმინისტრაციული სახლები, სასტუმრო „ქუთაისი“, ცენტრალური ბაღი.

რკინიგზით ქუთაისში შემოსულ სტუმარს ახარებს ფართო და ლარივით სწორი ლენინის პროსპექტი, დიდი ლენინის დიდებული მონუმენტური ძეგლი.

დღითიდღე იზრდება და სახეს იცვლის ქალაქი ქუთაისი. 80 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქუთაისელებმა.

განუხრელი აღმავლობით იზრდება და ვითარდება ქუთაისის მრეწველობა. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი ქუთაისის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მარკის პროდუქცია, რაც 500-ზე მეტი დასახელებისაა. 1958 წელთან შედარებით შვიდწლედის ბოლოს ქალაქის მრეწველობა გამოუშვებს 75 პროცენტით მეტ პროდუქციას.

ყველაფერი ის, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაკეთდა, შექმნილია ჩვენი ეპოქის მტკიცე ნებისყოფითა და შემოქმედებითი აქტივობით აღჭურვილი ადამიანების მიერ. საავტომობილო ქარხნის გიგანტში 85 პროცენტზე მეტი ადგილობრივი კადრებია. ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს დიმიტრი ქართველიშვილს, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ახალი მარკის (ვაზ-605 და ვაზ-606) ავტომობილების შექმნის საქმეში. ქარხნის დირექტორის მოადგილემ ო. ბოკოიძემ ამ პოსტს რიგითი ოსტატობიდან მიაღწია. არა მარტო ქარხანაში, არამედ მთელ რესპუბლიკაში ცნობილია დამსახურებული რაციონალიზატორი, პარტიის XXII ყრილობის დელეგატი იოსეფ ხაზარაძე, რომელიც სამასამდე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია და დაზოგილი აქვს 100 ათასი მანეთი. ი. ხაზარაძის მაგალითი იმის მკაფიო დადასტურებაა, თუ შრომისადმი როგორ შეგნებულ, კომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენს ჩვენი მუშათა კლასი.

ᲣᲐᲠᲛᲘᲡ ნოვატორები ბევრი არიან ელექტრომექანიკურ, ლიტოპონის, მინისტარის, საკონსერვო ქარხნებში, მაუდის, სამკერვალო, საკონდიტრო ფაბრიკებში, აბრეშუმის, ტყავ-ფეხსაცმლის და პურის კომბინატებში, რკინიგზის კვანძისა და სამრეწველო კომბინატის საწარმოებში. კომუნისტური შრომისათვის მებრძოლი ადამიანები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის წარჩინებული ფეიერი ნაზი მაღლაკელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მჭედელი ს. გელენიძე, მეერავი ნ. დარახველიძე, მჭოველი ე. ჯიმშელეიშვილი, ხარატი ა. აგაპოვი, კომუნისტური შრომის ბრიგადირები დ. ლომთათიძე, შ. კილაძე (საავტომობილო ქარხანა), ვ. შავგულიძე (ელექტრომექანიკური ქარხანა), ა. ჩაკვეტაძე (ლიტოპონის ქარხანა) და მრავალი სხვა. — ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავდადებული შრომით, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით, ახრის სითამამით, ახლის, პროგრესულისათვის შეუპოვარი ბრძოლით, ცოდნის სრულყოფისაკენ მისწრაფებით — ცხოვრება მიჰყავთ წინ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ამ დღეებში ისინი კიდევ უფრო მაღალი ტემპით მუშაობენ და საქმით პასუხობენ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს მაღალი მეჩვენებლებით ხედგმიან არჩევნებს.

ცხოვრება, ინდუსტრია, რომანტიკა ის ცნებებია, რომელთა ერთობლიობაში მკაფიოდ ჩანს ჩვენი ცხოვრების ლამაზი მომავალი კომუნისტური საზოგადოების კარიბჭე.

ჩვენი ეპოქა ადამიანთა საზოგადოების არსებობის ფორმების სწრაფი განახლების, ბუნების ძალების დამორჩილებისა და ადამიანების უფრო ბედნიერი ცხოვრებისათვის უმაგალითო წინსვლის ეპოქაა.

ასეთი მძლავრი აღმავლობის წლებში ჩვენს დიდ სამშობლოს მრავალი ღირსშესანიშნავი გამარჯვება მოუტანა ჩვენმა რუსპუბლიკამ. საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ფრთები შეასხან დიდებულ შვიდწლედს. ეს ენთუზიაზმი კიდევ უფრო მომძლავრდა პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, ბადგან მშრომელები მის გადაწყვეტილებებში ხედავენ ხვალინდელი დღის ნათელ კონტურებს.

საინტერესოა შვიდწლედის მშენებლობის ქრონიკა. უკვე ახლა შეუძლიათ ქუთაისელებს წარმოიდგინონ კომფორტაბელურად მოწყობილი სასტუმრო 161 საწოლით, ლენინის პროსპექტისა და წულუკიძის ქუჩის გადაკვეთაზე. სასტუმროს მშენებლობაზე 400 ათასი მანეთი დაიხარჯება. 1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე უკვე მთავრდება ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 1961 წელს დაიწყო ფარცხანაყანაჟის წყალსადენის მეორე რიგის სამუშაოები. ეს წყალსადენი მთლიანად უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისს სასმელი წყლით, ახალ შვიდწლედში ქუთაისელთა ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდება ტელევიზია. წელს ამუშავდა ტელეფონის ავტომატური სადგური.

შვიდწლედის გეგმით გათვალისწინებულია ქალაქში შეიქმნას ახალი სატრანსპორტო და სატრანზიტო მაგისტრალები, აგრეთვე რეკონსტრუირებულ იქნას არსებული გზები.

ლენინის პროსპექტი გაივრძელდება გორის ქუჩამდე, სოხუმის ქუჩა — ავტოქარხნის გზატკეცილამდე, გაფართოვდება და აეთილმოწყობილი გახდება ყირიმის ქუჩა, გაყვანილი იქნება ტროლეიბუსის ახალი ხაზები. გაფართოვდება და გადაკეთ

საერთაშორისო ჟურნალისტთა ფედერაციის ცხოვრება

ქენევის ფორუმი

ქენევა, 14 მარტი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

დღეს აქ ერების სასახლეში მუშაობა დაიწყო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა.

ერების სასახლის სხბჭოს დარბაზი, სადაც 18 სახელმწიფოს კომიტეტის სხდომა მიმდინარეობს, ხალხით არის სავსე. ცარიელია მხოლოდ საფრანგეთის დელეგატებისათვის გამოყოფილი სავარძლები, რომლის მთავრობამ უარი თქვა გამოეგზავნა თავისი წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის სპეციალურმა წარმომადგენელმა ომარ ლუტფიმ. მოკლე შესავალ სიტყვაში იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უ ტანის სახელით მიესალმა ჩვიდმეტი ქვეყნის დელეგატებს, რომლებიც ერების სასახლეში შეიკრიბნენ. ის უჟალტი, რომ მთავრობათა მეთაურები მთავარ ყურადღებას აქცევენ ამ თათბირს და სხდომათა დარბაზში ასე ბევრი მონაწილე წარმოდგენილია მინისტრებით, თქვა მან, მოწმობს კომიტეტის მუშაობის სერიოზულობასა და დიდ მნიშვნელობას. შემდეგ ლუტფიმ თქვა, რომ ვერავინ ვერ უარყოფს კომიტეტის წინაშე დასახული ამოცანის სირთულეს და იმ სიძნელეებს, რომლებიც უნდა გადაილახოს, და აღნიშნა, რომ ამასთან ერთად არსებობს დადებითი და იმედის მომცემი ელემენტები. ასეთ ელემენტებს მან მიაკუთვნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება განიარაღების საკითხზე მოლაპარაკებისათვის შეთანხმებული პრინციპების შესახებ, რომელიც ერთსულოვნად იყო რეკომენდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ როგორც საფუძველი მოლაპარაკებისა კომიტეტში, და მოლაპარაკებისათვის ორგანოს ახალი შემადგენლობა, რომელიც, როგორც ლუტფიმ თქვა, უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის თვალსაზრისის და სხვადასხვა პოლიტიკური მიდგომის სრულ ასახვას.

ბოლოს, თავისთავად მოლაპარაკების განახლება საყოველთაო განიარაღების შესახებ, განაცხადა მან, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიმართულებით, ისე ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის გრანდიოზული ამოცანის გადაჭრის მიმართულებით.

ომარ ლუტფიმ გამოაცხადა მოკლე შესვენება, რის შემდეგ დაიწყო 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დახურული სხდომა.

როგორც ცნობილი გახდა, 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის პირველ სხდომაზე წილისყრის გზით თავმჯდომარედ არჩეული იყო ბირმის საგარეო საქმეთა მინისტრი უ ტი ხანი.

შემდეგ კომიტეტმა დაიწყო განხილვა და დამტკიცება თავისი მუშაობის პროცედურის პროექტისა, რომელიც ერთად შემუშავეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. პროცედურის წესები, კერძოდ, ითვალისწინებენ, რომ თავმჯდომარის სავარძელს როგრიგობით დაიკავებენ კომიტეტის წევრი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები, ხოლო 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუდმივი თანათავმჯდომარეები იქნებიან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ყოველი შემდეგი სხდომის თავმჯდომარეს მეორე დღის სხდომასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე კონსულტაცია ექნება მუდმივ თანათავმჯდომარეებთან.

კომიტეტის მუშაობის პროცედურის წესებისა და პრესისათვის კომუნიკეს პროექტის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარე უ ტი ხანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 15 მარტს.

გაიხსნა 18 სახელმწიფოს კომიტეტის თათბირი ქენევაში

„ტელეგრაფი გვაცყობინებს“

□ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა მიიღო საბჭოთა ცირკის მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ამჟამად საგასტროლოდ მოგზაურობს ჩრდილოეთ ვიეტნამში.

□ სსრ კავშირის ელჩმა მაროკოში დ. პ. პოჟიდაევმა დარბაზობა გაბართა იმის გამო, რომ რაბათში საბჭოთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში გაიხსნა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოში არის 5 ათას ტომზე მეტი წიგნი არაბულ, ფრანგულ, რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე. აგრეთვე მრავალი პერიოდული გამოცემა.

□ გარშავაში გაიხსნა ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირის მონაწილენი განიხილავენ მეცნიერული თანამშრომლობის საკითხებს.

□ პრაღაში ხელი მოაწერეს ოქმს გვინეის რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის 1962 წელს ურთიერთ საქონელგაცვლის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის სს რესპუბლიკა გვინეას მიაწვდის ავტომობილ-ფურგონებს, მოტოციკლებს, მოტოროლერებს, დიზელიან აგრეგატებს და ქსოვილებს, ხოლო გვინეიდან მიიღებს ზეთოვანი კულტურების თესლს, რკინის მადანს, ბოქსიტებს და სხვა სახეობათა ნედლეულს.

□ ევროპაში მოგზაურობიდან თეირანს დაბრუნდა ირანის პრემიერ-მინისტრი ა. ამინი. ამ მოგზაურობის ძირითადი მიზანი იყო მიეღწია დასავლეთის ქვეყნებისაგან ეკონომიური დახმარების გადიდებას.

კუბა არ ნებდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 15 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ყურადღება კვლავ მიექცა შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი პატარა ქვეყნის — კუბის მიმართ. გუშინ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ კარლოს სოსა როდრიგესმა (ეკვადორი) მოიწვია საბჭოს სხდომა კუბის მთავრობის მოთხოვნით. ეს მოთხოვნა გამოთქმული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის გარსია ინჩაუსტეგის 8 მარტის წერილში, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა. კუბის მთავრობა ამხილებს შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ის არის, რომ იძულებითი ჭნით შეცვალოს არსებული სახალხო წყობილება კუბაში, და მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭომ ურჩიოს საერთაშორისო სასამართლოს — გამოთქვას თავისი აზრი ამ საკითხზე, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბას არ ეშინია ამ აზრისა, რადგანაც კუბა მთლიანად საერთაშორისო სამართლის პოზიციაზეა. ამასთან ორატორმა შეახსენა საბჭოს, რომ უკანონო გადაწყვეტილებებსა. და იძულებით სანქციებს კუბის მიმართ პუნტა-დელ-ესტეს თათბირზე მხარი არ დაუჭირეს ლათინური ამერიკის ძირითადმა ქვეყნებმა.

თუ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების დარღვევით კვლავ დაიწყება ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ, კუბელი ხალხი თავდადებით დაიცავს თავის სამშობლოს, დაიცავს საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს. ამავე დროს აგრესორებს უნდა ახსოვდეთ, რომ კუბა მარტოდმარტო როდია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც უნდა იცოდნენ ეს. კუბა არ ნებდება.

კუბის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომა შეწყდა. მორიგი სხდომა დანიშნულია 15 მარტს 15 საათზე (ადგილობრივი დროით).

ამერიკელი მოქალაქეები გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ და პოლიტიკას, რომელიც მშვიდობას ემუქრება. ვაშინგტონში ბავშვებიანმა ქალებმა და სტუდენტებმა მოაწყეს თეთრი სახლის პიკეტირება. ნიუ-იორკში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონა ნიუ-იორკში.

ფოტო პრესა ლატინა — საკდესისა.

„დახმარების“ სავალალო შედეგები

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც „ტრუმენის დოქტრინის“ შესაბამისად თეურქეთმა მიიღო ამერიკის დახმარება. ამერიკის პროპაგანდა მთელი ძალღონით ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ოკეანისიქთა დახმარება აამაღლებდა თურქეთის ეკონომიკასა და „კეთილდღეობას მოუტანდა თურქ ხალხს“.

მაგრამ განვლილმა წლებმა ცხადყვეს ამგვარ მტკიცებათა სიყალბე. თურქეთის ეკონომიკა არა თუ არ დაადგა ნორმალური განვითარების გზას, არამედ, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „სონ ჰავადისი“, საფრთხეში აღმოჩნდა. ბაზარზე მოდუნება მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარის გამო მიზეზი გახდა იმისა, რომ საწყობებში დიდძალი საქონელი დაგროვდა. „მრეწველებს“, აღნიშნავს ზემოთხსენებული გაზეთი, — ახრჩობს საქონლის დიდი მარაგი, ისინი იძულებული არიან დახურონ საწარმოები“.

სამრეწველო წარმოების შემცირება იწვევს უმუშევრობის ზრდას, რომელიც ოკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა თურქეთში. ვერ დაეხმარა ამერიკის „დახმარება“ თურქეთის სოფელსაც. „ტრუმენის დოქტრინით“ გვთვალისწინებული დახმარების ანგარიშში მიღებულმა ტრაქტორებმა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო, ადგილობრივი გაზეთების მოსწრებული გამოთქმით, შექმნეს მანქანათა სასაფლაოები. სოფლებში ფარული უმუშევრობაა. თანახმად პრესის მონაცემებისა, ახლა არ მუშაობს ოთხი მილიონი სასოფლო-სამეურნეო მუშა. არსებობის საშუალებათა ძებნაში ისინი ტოვებენ მშობლიურ ადგილებსა და ხსნას ეძებენ დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ. გლეხთა ფართო მასები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ თურქეთში, გაჭირვებასა და შიმშილს განიცდიან.

ასეთია რეკლამირებული ამერიკული ეკონომიური „დახმარების“ ჰეშმარიტი სახე.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა ბოლო მოეღოს არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში შეიქმნა, — ასეთი მოთხოვნა წამოაყენა ლიბორისტულმა ოპოზიციამ თემთა პალატაში.

ლიბორისტმა უორბომ მკვეთრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სამხრეთ ვიეტნამში და განცხადა, რომ ამერიკელი მფრინავები ბომბავენ ვიეტნამის მოსახლეობას. ამ ქვეყანაში მეტად საშიში ვითარება შექმნა, რომელსაც შეიძლება აფეთქება მოჰყვეს, განაგრძო მან და საჭიროა მოქმედება მის შესანელებლად.

საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილე ჰ. ტომასი ცდილობდა საეჭვო გაეხადა უორბის განცხადება, მაგრამ აღიარა, რომ ამერიკელი მფრინავები მოქმედებენ როგორც ინსტრუქტორები სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო საჰაერო ძალებში.

ინგლისის მთავრობა, როგორც ინდოჩინეთის საკითხთა ჟენევის კონფერენციის ერთ-ერთი თავმჯდომარე, ხაზი გადუსვა მეორე ლიბორისტმა გ. დევისმა, საათანადო ყურადღებას არ უთმობს მრავალ ცნობას სამხრეთ ვიეტნამში შექმნილი საგანგაშო სიტუაციის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ აღიარა, რომ არის ასეთი ცნობები, მაგრამ უარყო ის, რომ საჭიროა ამ საკითხზე თათბირის მოწვევა.

მაკმილანის „ოპტიმიზმი“

ლონდონი, 14 მარტი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა დღეს განაცხადა, რომ იმ პრობლემის მასშტაბმა, რომელიც ჟენევის განიარაღების თათბირის წინაშე დგას, „სასოწარკვეთილება არ უნდა გამოიწვიოს“. ასე მიმართა მაკმილანმა პარლამენტის კორესპონდენტებს საუზმეზე თემთა პალატაში.

მაკმილანმა აღნიშნა, რომ „მსოფლიოში ყველაფერზე ბატონობს ღრმა გათიშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ და დასძინა, რომ ეს გამიშვა „ნთქავს მთელი კაცობრიობის ენერგიისა და რესურსების უზარმაზარ ნაწილს“. მე მტკიცედ მაქვს განზრახული მივაღწიო დაძაბულობის შენელებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში, განაცხადა მან. 1960 წელს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლა დიდი მარცხი იყო.

მოლაპარაკება ევიანში

ევიან-ლე-ბენი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკების ორი სხდომა — დილისა და საღამოს სხდომები. ისევე როგორც წინა სხდომების შემდეგ, არავითარი ოფიციალური კომუნიკე არ ყოფილა გამოქვეყნებული. მორიგი სხდომა გაიმართება დღეს დილით.

მინისტრის პოსტი პირადი გამდიდრებისათვის

ბონი, 14 მარტი. (საკდესი). გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ ბუნდესტაგში მიიღო გადაწყვეტილება მოითხოვოს საპარლამენტო კომისიის შექმნა ეგრეთწოდებულ „ფიბაგის“ აფერაში“ თავდაცვის მინისტრ შტრაუსის როლის გამოსაძიებლად. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ ჰამბურგის ჟურნალმა „დერ შპიგელმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც დოკუმენტურად იყო დამტკიცებული, რომ შტრაუსი მინისტრის პოსტს იყენებს პირადი გამდიდრებისა და მოგებისათვის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციას განზრახული აქვს ეს მოთხოვნა ბუნდესტაგში შეიტანოს უკვე მომავალ კვირაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ბუნდესტაგი მოვალეა შექმნას გამოძიების საპარლამენტო კომისია, თუ ამას მოითხოვს ბუნდესტაგის დეპუტატთა სულ ცოტა მეოთხედი. ამრიგად, მმართველი პარტიების ფრაქციები ხელს ვერ შეეშლიან ასეთი კომისიის შექმნას.

დაკაბალების პროგრამა

ვაშინგტონი, 14 მარტი (საკდესი). პრეზიდენტმა კენედიმ გუშინ კონგრესს წერილი გაუგზავნა უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ. იგი სთხოვს კონგრესს დაამტკიცოს ასიგნებანი ეკონომიური და სამხედრო დახმარებისათვის 1963 საფინანსო წელს 4.878 მილიონი დოლარის ოდენობით, აქედან წმინდა სამხედრო მიზნებისათვის — 1,5 მილიარდი დოლარი.

ამერიკული დახმარების პროგრამას, აცხადებს პრეზიდენტი, „საარსებო მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატების ინტერესებისათვის“. მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატებს „ახალი პოლიტიკა“ დახმარების დარგში „მიზნად ისახავს განამტკიცოს იმ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა, რომლებიც ვითარდებიან“. კენედი ამას ამტკიცებს მაგრამ არ ფარავს, რომ უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებულია დაეხმარონ იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ამერიკის დახმარებას იღებენ, ხელი შეუშალონ, როგორც მან თქვა, „სწრაფ სოციალურ ცვლილებებს“ და ხელი შეუწყონ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

პროგრამას, განმარტა პრეზიდენტმა სფეძელად უდევს არა ეგრეთწოდებული „მუქთა დახმარება“, არამედ სესხი, რომელსაც ამერიკა იძლევა გარკვეული, როგორც ცნობილია, მეტად დიდი პროცენტებით. „ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ვეყრდნობით სესხს, რომელსაც დოლარებით გვიხდიან“, განაცხადა კენედიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატები „განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ“ იმას, რომ სესხის მიღებმა ქვეყნებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში იყიდონ ხელმე“ ამ პროგრამისათვის საჭირო საქონლის მეტი წილი“.

კენედიმ ჩამოთვალა დახმარების პროგრამის გასაელის ბუხლები და განსაკუთრებით სთხოვა კონგრესს არ შეამციროს 400 მილიონი დოლარი, რომელიც გათვალისწინებულია როგორც „სპეციალური ფონდი“. ეს თანხა, განაცხადა პრეზიდენტმა, საჭიროა, რამდენადაც „შეუძლებელია ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ საერთაშორისო მდგომარეობის სწრაფი ცვლილებანი“.

პრეზიდენტის წერილში განსაკუთრებული ადგილი უკავია „პროგრესისათვის კავშირის“ პროგრამას, როგორც ამერიკის, შეერთებული შტატების ექსპანსიონისტური პოლიტიკის მთავარ იარაღს ლათინურ ამერიკაში.

კენედიმ არსებითად აღიარა, რომ შეერთებული შტატები „ეშიდონ ხელმე“ ამ პროგრამისათვის საჭირო საქონლის მეტი წილი“.

ტოკიოს „ოლიმპიადა“

ინდოეთ-ჩინეთის ომი

...

...

...

ლიტერატურა და ხელოვნება

„ბოჰემის“ პოეტური სიცოცხლე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა 12 მარტს მაყურებელს უჩვენა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ბოჰემის“ ახალი დადგმა. ნიჭიერი კომპოზიტორის ეს ერთ-ერთი ყველაზე პოეტური ოპერა ჩვენი მუსიკალური თეატრის სცენაზე არ დადგმულა უკვე თექვსმეტი წელიწადია.

...1893 წლის 1 თებერვლის ღამეს პუჩინის, მინ რომ დაბრუნდა თეატრიდან, სადაც მის ახალ ოპერას „მანონს“ უდიდესი წარმატება ჰქონდა, დიდხანს ძილი არ მიჰკარებია. იგი ძლიერ იყო აღელვებული თავისი ტრიუმფით და უნებლიეთ გაახსენდა შორეული ჭაბუკობა: ის დღე, როცა, რკინიგზით სამგზავრო ფული რომ არ ჰქონდა, ფეხით წავიდა ქალაქ ალნაში, რათა ვერდის „აიდა“ მოესმინა. სპექტაკლმა მასზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსი განმსჭვალა ოცნებით თვითონაც გამხდარიყო ოპერების ავტორი.

აღელვებული კომპოზიტორი ცდილობდა დაეძინა, მაგრამ რული არ ეკარებოდა. მაგიდიდან წიგნი აიღო და კითხვას შეუდგა. ეს იყო ფრანგი მწერლის ანრი მიურჟეს რომანი „სცენები ბოჰემის ცხოვრებიდან“.

მიურჟეს რომანის ამბებმა იმდენად ცოცხლად მოაგონა ჭუჩინის თავისი იმ წლების ცხოვრება, როცა კონსერვატორიაში სწავლობდა, რომ უნებლიეთ დაეწერა ოპერა ამ წიგნის სიუჟეტის მიხედვით. ამ განზრახვაზე მაშინაც კი არ აიღო ხელი, როცა თავისი გამომცემლის რიკორდისგან შეიტყო, რომ იმავე სიუჟეტზე ოპერას უკვე წერდა კომპოზიტორი ლეონკავალო.

პუჩინიმ თავი გაარიდა ტურინის ხმაურს, წავიდა ქალაქგარეთა ვილაში და ლიბრეტოს დაულოდებლად გატაცებით შეუდგა მუსიკის წერას. 1896 წლის 1 თებერვალს „ბოჰემა“ დაიდგა ტურინის ოპერის თეატრის სცენაზე.

„ბოჰემის“ მელოდიურ, ღრმად ემოციურ მუსიკას მსმენელები თავდავიწყდებოდნენ. ლათინური კვარტალის ახალგაზრდა მცხოვრებლის — პოეტ რუდოლფის, მხატვარ მარსელის, მუსიკოს შონარისა და ფილოსოფოს კოლენის ფიქრებისა და გრძნობების სამყაროში. ამ „ოთხ მუშკეტერთან“ ერთად, როგორც მათ ხუმრობით შეარქვეს კაფე „მომიუსში“, ცხოვრების სიხარულსა თუ სიმწარეს იზიარებს ორი ახალგაზრდა ქალი — მიმი და მიუზეტა.

დირიჟორი ო. დიმიტრიადი პირველად როდი ჯამოდის ოპერა „ბოჰემაში“. მაგრამ ნიჭიერი, დაკვირვებული მხატვარი, ნამდვილი მთაგონებით გატაცებული, თავის ინტერპრეტაციაში მუდამ პოულობდა ახალ ფერებს პუჩინის პარტიტურის სილამაზის გამოსაჩენად.

იგივე შეიძლება ითქვას დამდგმელ მ. კვალიაშვილზე, რომელმაც „ბოჰემის“ ახალ რეჟისორულ რედაქციაში იპოვნა საინტერესო, ნამდვილი ცხოვრებისეული დეტალებით სავსე დახვეწილი მიზანსცენები, რომლებიც შესანიშნავად ეხმარებიან მომღერლებს რეალური ცხოვრებით იცხოვრონ სცენაზე.

მხატვარ ი. ასკურავას გაფორმებაში საუკეთესოა მესამე აქტი — „სამიკიტნო პარიზის კარიბჭესთან“. მეორე აქტი კი — „ლათინური კვარტალი შობის წინა ღამეს“, ჩვენი აზრით, გადატვირთულია დეკორაციებით. მთლად დამაკმაყოფილებელი ვერ არის კოსტუმები, განსაკუთრებით ქალისა.

ჩინებულად ასრულებს პოეტ რუდოლფის პარტიას ა. ჩაკალიდი, რომლის ხმა თანაბარი სილამაზით ძღერს როგორც ლირიულ ეპიზოდებში, ისე დიდი დრამატული დაძაბულობის მომენტებშიც.

დანარჩენი წამყვანი პარტიები მინდობილი აქვთ ახალგაზრდა შემსრულებლებს. ძალიან კარგია მ. ამირანაშვილი მეყვავილე. მიმის პარტიაში. ცხოვრებით გატანჯული, ბუნებით წმინდა ახალგაზრდა ქალის უბედობის გულწრფელი გადმოცემით ნიჭიერი მსახიობი მაყურებელთა მხურვალე სიმპათიას იწვევს.

თ. თაქთაქიშვილს სწორად ესმის სახე და ხაზს უსვამს, რომ თვითნებობის, ქარაფშუტობისა და ეგოისტობის გარეგან საფარქვეშ იფარება მერძნობიარე ადამიანური გული. კეკლუცად, მოხდენილად მღერის მსახიობი მიუზეტას ვალსს მეორე აქტში.

ნაკლები მკაფიობით აქვს მოხაზული კომპოზიტორს დანარჩენი მუსიკალური სახეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ვოკალურადაც და სცენიურადაც სრულფასოვნად არიან ხორცშესხმულნი. ლ. არაქელოვი მუსიკოს შონარს გვიხატავს როგორც გულითად, გულღია, მოსაზრებულ და მბიარულ ახალგაზრდას. ასეთ ადამიანებს ჩვეულებრივად „საზოგადოების სულსა და გულს“ უწოდებენ.

ყოველგვარი ქების ღირსია ი. კოკოლია მხატვარ მარსელის პარტიაში. ახალგაზრდა მომღერალს ლამაზი ტემბრის ბარიტონი აქვს და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი წელია თეატრში მუშაობს, მან ცხადყო თავისი უნარი ცოცხლობდეს სახეში, უბრალოდ, თავისუფლად ეჭიროს თავი სცენაზე. მუსიკალურად, მკაფიო გამოთქმით მღერის მოსასხამთან გამოთხოვების არიას ნ. ნადიბაიძე; ეს ახალგაზრდა მსახიობიც პირველი სეზონია, რაც თეატრის დასშია, და, სამწუხაროდ, მას წილად ხვდა გამოსულიყო ფილოსოფოს კოლენის უმადურ პარტიაში.

მოხუცი უხამსი ბურჟუას მკაფიოდ მოხაზულ სახეს გვიხატავს შ. თაბუკაშვილი ალცინდორის ეპიზოდურ როლში. ანსამბლის მთლიანობას ხელს უწყობენ დანარჩენი შემსრულებლებიც — მ. მალიაროვი, ი. კაკსაძე, რ. ჩერნოვი.

გუნდი, როგორც ყოველთვის, შეწყობილად მღერის (მთავარი ხორმაისტერია ე. ტერიშვილი).

საერთოდ, ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, არ შეიძლება არ მივესალმოთ პუჩინის მშვენიერი ოპერის „ბოჰემის“ განახლებას.

ლ. მარკოზოვი.

სურათზე: *პუჩინის ოპერა „ბოჰემა“. მიმი — მედეა ამირანაშვილი, რუდოლფი — ანასტას ჩაკალიდი.*

ფოტო გ. სიმონიანისა.

ფრანგული მხატვრობის ნიმუშები

უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა უცხოელ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციის გამოფენა, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, პუშკინის სახელობის მოსკოვის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა. .

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერადი რეპროდუქციის თანამედროვე ოსტატების სპიტცერის, ვერკოსისა და სხვათა მიერ შესრულებული ფრანგული მხატვრობის რეპროდუქციები.

გამოფენის მნახველები ეცნობიან მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ფრანგულ მხატვრულ შემოქმედებას. აი ცნობილი პაბლო პიკასოს ნამუშევრების რეპროდუქციები — „გოგონა ბურთზე“, „ბიჭი და ძაღლი“, „პაიმანი“, „ქალის პორტრეტი“, „ნატურმორტი“, აქვეა რენუარ ოგიუსტის შესანიშნავი სურათების რეპროდუქციები — „ქალიშვილი კალათით“, „მენავეების საუზმე“, „საქანელა“. ყურადღებას იპყრობს მოდილიანის, დიუფის, მარკეს, მატისის, ვან გოგის, გოგენი პოლის, სეზანი პოლის და სხვათა პორტრეტების, პეიზაჟების, ნატურმორტების რეპროდუქციები.

ზავერდოვანი ზმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მიროშნიჩენკოს გასტროლები თბილისში

თ ბ ი ლ ი ს ში საგასტროლოდ ჩამოვიდა და დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლ „ტრავიატაში“ ვიოლეტას პარტიას შეასრულებს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო კოლორატურული სოპრანო, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ევგენია მიროშნიჩენკო.

ახალგაზრდა მომღერალმა 1956 წელს ფრიადზე დაამთავრა კიევის კონსერვატორია და იმავე წელს კონკურსით შევიდა კიევის საოპერო თეატრში. სულ მალე იგი ოპერის წამყვანი მსახიობი გახდა. ე. მიროშნიჩენკო დიდი წარმატებით გამოდის ვერდის ოპერებში „ტრავიატასა“ (ვიოლეტა) და „რიგოლეტოში“ (ჯილდა), როსინის ოპერა „სევილიელ დალაქში“ (როზინა) და უკრაინული ეროვნული ოპერების მთავარ პარტიებში.

1957 წელს მოსკოვში ე. მიროშნიჩენკომ მოიპოვა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატის წოდება, ხოლო ერთი წლის შემდეგ საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში გამართულ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე მეორე დიდი პრემია დაიმსახურა. 1960 წელს, მოსკოვში უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით ახალგაზრდა მომღერალს მიენიჭა უკრაინის სსრ სახალხო არტისტის წოდება.

გასულ წელს ე. მიროშნიჩენკო იტალიაში იმყოფებოდა და თავის ვოკალურ ხელოვნებას იმაღლებდა ლა-სკალას ცნობილ საოპერო თეატრში.

საბჭოთა და საზღვარგარეთელი პრესის შეფასებით ე. მიროშნიჩენკო ფლობს ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის კოლორატურულ სოპრანოს. მისი ხმა გამოირჩევა დიდი დიაპაზონით, ხოლო შესრულება — დიდი არტისტულობითა და ვირტუოზულობით.

19 მარტს მომღერალს მოვუსმენთ ჯილდას პარტიაში („რიგოლეტო“).

სურათზე: *ევგენია მიროშნიჩენკო.*

ასე დაიწყო მეგობრობა

მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებსა და მეცნიერ მუშაკებს სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებთან. ხვდებიან ერთმანეთს გაცნობისა და დაასლოების მიზნით, სწავლობენ ქვეყნების ტექნიკას, ეკონომიკას, ლიტერატურას, ისტორიას.

სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი შოთა რევიშვილი.

მან გერმანიაში ყოფნის დროს მრავალი ლექცია და მოხსენება წაიკითხა გერმანია-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობაზე, საქართველოში გერმანისტიკის კვლევა-ძიების საკმეზე.

ლაიპციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტის გერმანული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ჰანს მაიერმა ინსტიტუტის სახელით ჯერ პირადად, ხოლო შემდეგ წერილობით აცნობა თბილისში ჩამოსულ შ. რევიშვილს: „...ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ მივიღოთ სისტემატური ინფორმაცია თბილისის უნივერსიტეტის მიერ გერმანისტიკის საკითხებზე გამოკვეთული მნიშვნელოვანი შრომების და ავტორების შესახებ...“

„გამოვთქვამთ ამ სურვილს და გვჯერა, რომ უკეთ გავეცნობით ქართველი გერმანისტების მეცნიერულ შრომებს. მასალები გამოგვადგება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანისტიკის საკითხის შესწავლაში“.

ჟურნალ „ნოიე დრიჩე ლიტერატურაში“ (1961 წ. № 11) დოცენტმა შ. რევიშვილმა მოათავსა სტატია „გერმანული ლიტერატურა საქართველოში.“ ავტორი ცალცალკე ამუშავებს გერმანული ლიტერატურის პრობლემებზე მომუშავე ქართველ მეცნიერთა მიერ დამუშავებული საკითხების- თემატიკას, აკეთებს ქართულად გამოცემული შრომებისა და სტატიების მოკლე მიმოხილვას, დახასიათებული აქვს ქართულ ენაზე არსებული გერმანული ლიტერატურის თარგმანების დიდი ტრადიცია.

აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით გამიმრის კლასიკური გერმანული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი ჰენინგი სწერს შ. რევიშვილს, რათა ინსტიტუტს საქართველოდან სისტემატურად გადაეგზავნოს როგორც მეცნიერული შრომები გერმანული ლიტერატურის საკითხებზე, ისე ქართულ ენაზე გამოცემული თარგმანები.

ქართველი გერმანისტები ყურადღებით მოეკიდნენ გერმანელი მეგობრის თხოვნას. ვიმაგრი უკვე გაგზავნა მრავალი საინტერესო ნაშრომი, რომელთა მიღების შემდეგაც დირექტორმა ჰენინგმა უღრმესი მადლობა შემოუთვალა თბილისის უნივერსიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარი და ბავშვები

ახალშობილი ბავშვი მკვეთრად იკლებს წონაში, სუსტდება, ხდება უხალისო, ღარა ჭამს... ასე იწყება მძიმე დაავადება ჰიპოტროფია — ორგანიზმის კვების მოშლა, რასაც იწვევს ინფექცია ან არასწორი კვება.

ძნელი იყო ამ დაავადების წინაღმდეგ ბრძოლა. ნივთიერებათა ნორმალური ცვლა რომ აღედგინათ, პაწაწინა არსებას ხშირად უკეთებდნენ ნემსებს, ვენებში და კანქვეშ შეჰყავდათ სხვადასხვა წამალი და ვიტამინი, აწარმოებდნენ სისხლის გადასხმას. რასაკვირველია, ყოველივე ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ გამოცდილ ექიმებს და მედიცინის დებს, ისიც კლინიკურ პირობებში.

საჭირო იყო გამონახულიყო ბავშვის ჰიპოტროფიის წინაღმდეგ ბრძოლის უბრალო და ქმედითი საშუალება. ძიება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა. მის წარმატებით დაგვირგვინებას ხელი შეუწყეს... ფუტკრებმა.

აღმოჩნდა, რომ საკვები, რომლითაც მუშა ფუტკრები ასაზრდოებენ თავიანთ მატლებს, ე. წ. „ფუტკრის რძე“, წარმოადგენს მასტიმულირებელ და ძალის აღმდგენ საუკეთესო საშუალებას. მისი ქიმიური შემადგენლობა უაღრესად რთულია. იგი შეიცავს დაახლოებით ოცი სახის უაღრესად საჭირო ამინომჟავას, ცხიმებს, შაქარს, სხვადასხვა ვიტამინების კომპლექსს („B“ და „C“ ჯგუფის ვიტამინები, ... ნიკოტინის მჟავა და სხვ.). ქალის რძესთან შედარებით მისი კალორიულობა ორჯერ მეტია. მაშასადამე, ფუტკრის რძე მარტო ჰიპოტროფიის საწინააღმდეგო საშუალება როდია. იგი ამასთანავე უდღეური ბავშვის გამოკვებისა და მისი წონის სწრაფი აღდგენის საშუალებაც არის, მაგრამ აქ თავი იჩინა ახალმა სიძნელემ. როგორ მივაღებინოთ ძუძუთა ბავშვს ეს წამალი? ისევ ნემსი? მაგრამ ეს ხომ ძალიან მტკივნეულია და ბავშვები ცუდად იტანენ. დავალევინოთ? მაგრამ ნერწყვი და კუჭის წვენი სპობენ ფუტკრის რძის აქტიური მოქმედების უნარს. თითქოს ისევ ჩიხი შეიქმნა! მაგრამ აი აღმოჩნდა!.. საბჭოთა მეცნიერმა, მეფუტკრეობის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლევ ბრაიდისმა შეიმუშავა ფუტკრის რძის შემცველი სახლეულის დამზადების მეთოდიკა. მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის კლინიკაში, რომელსაც პროფესორი კონსტანტინე ჰოპოვი ხელმძღვანელობს, გულმოდგინედ გამოსცადეს ახალი მეთოდი. იგი საუკეთესო აღმოჩნდა!

ფუტკრის რძის შეყვანა სანთლით ძალიან უბრალო და მოსახერხებელია. შედეგს კი ბრწყინვალეს ვიღებთ.

ფუტკრის რძეს ადვილად იტანს ყველა ბავშვი. და, რაც მთავარია, თვითეულ დედას ადვილად შეუძლია გამოიყენოს იგი ოჯახურ პირობებში.

ახალი სამკურნალო პრეპარატი „აპილაკი“ (აპის-ფუტკარი, ლაქტის — რძე) რეკომენდებულია მასობრივი წარმოებისათვის.

ელენე კნორე,

ხაბგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგეგი, ცნობები, ფაქტები

მთაში მწყემსებთან

ყითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმები რაიონული ცენტრს 30-90 კილომეტრითაა დაშორებული. ისინი მდებარეობენ ივრის, ჩამთის, ტარიბანის, სამუხისა და სხვა მთებში. მეძროხეობისა და მეცხვარეობის მწყემსები ხშირად კვირაობით ვერ მიდიან შინ.

რაიკოოპკავშირის გამგეობამ გაითვალისწინა ეს და შექმნა სპეციალური მოძრავი მაღაზია, რომელიც მომარაგებულია სხვადასხვა სურსათ-სანოვაგით. ავტოფარდული უქვე მოემსახურა სოფლებს არბოშიკის, მირზაანის, ზემო მაჩხაანის და ოზაანის კოლმეურნეობათა მწყემსებს.

გ. კაკალაშვილი.

ყინულის სამეფოში

ყაზბეგი. (საკ. კორ.). ზღვის დონიდან ათასობით მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ჯვრის უღელტეხილის მეტეოროლოგიური სადგური. აქ თოვლით დაფარულ დაფერდებაზე, რომელსაც ზემოდან კაკასიონის მრეხსანე მწვერვალები დაჰყურებენ, ქვიტკირის პატარა ქოხში ცხოვრობს და მამაცურ შრომას ეწევა ქართველი მეტეოროლოგების პატარა კოლექტივი, რომელსაც უ. კაპანაძე ხელმძღვანელობს.

წელიწადის ყოველ დროს, ქარსა და წვიმაში, თოვლსა და ქარბუქში არ წყვეტენ მუშაობას დამკვირვებლები შ. ზაქაიძე, შ. სეთურიძე, ვ. ბლიადე, მათ მხარში უდგანან ტექნიკი-აეროლოგები ტ. ხუციშვილი და უ. კაიშაური. დედაქალაქთან შეუფერხებელი რადიოკავშირი აქვთ რადისტებს ვ. ზაქაიძეს, ა. აგასიანს და ტ. სტრუჩენკოს. მეგობრებთან არის მზარეული ნ. კაიშაური.

დაკვირვება მიმდინარეობს მთელი დღეღამის განმავლობაში.

„ლოკომოტივის“ მეორე გამარჯვება

ტრიპოლი, 14 მარტი. (საკდესი). „საბჭოთა ფეხბურთელების გუნდის ტექნიკა ჩინებულია“, „ლიბიელმა სპორტსმენებმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს“, „ვანსაკუთრებით საინტერესო თამაში“, ასეთ სიტყვებს გაიგონებდით დღეს მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ტრიპოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შეხვედრის შემდეგ, რომელიც მოეწყო ამ ქალაქში საერთაშორისო ბაზრობის სპორტული დღესასწაულის პროგრამის შესაბამისად. 4:1 — ასეთი იყო საბჭოთა ფეხბურთელების მეორე გამარჯვების შედეგი.

ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა სოკოლოვმა. 21 წუთის შემდეგ ლატიშევმა ანგარიში გაადიდა 2:0. შემდეგ ვოროშილოვმა და კვლავ სოკოლოვმა თითო ბურთი გაიტანეს. 75-ე წუთზე კუთხურის შემდეგ ჰუმანმა გაქვითა ერთი ბურთი.

ზავერდოვანი ზმით

უნივერსიადის ჩემპიონები

ზვეიცარიის პატარა ქალაქ ვილარში სპორტული პაექრობა მიწყნარდა, გამარჯვებულებმა უნივერსიადის ალამი დაუშვეს.

ამ მასობრივ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სტუდენტი სპორტსმენები, რომლებმაც ოქროს 4, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 medალი მოიპოვეს.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების ფინალური ასპარეზობა, რომელიც დამთავრდა 6:6. განმეორებით მატჩში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტებმა ანგარიშით 3:1 და უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ. საბჭოთა კავშირის გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

აქვე, ვილარში შედგა უნივერსიადის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. გადაწყდა, რომ 1963 წელს სტუდენტთა ზაფხულის საერთაშორისო ასპარეზობა — უნივერსიადა მოეწყოს ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგროში, ხოლო სტუდენტთა ზამთრის შეხვედრები — ჩეხოსლოვაკიაში.

„ლოკომოტივის“ მეორე გამარჯვება

ტრიპოლი, 14 მარტი. (საკდესი). „საბჭოთა ფეხბურთელების გუნდის ტექნიკა ჩინებულია“, „ლიბიელმა სპორტსმენებმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს“, „ვანსაკუთრებით საინტერესო თამაში“, ასეთ სიტყვებს გაიგონებდით დღეს მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ტრიპოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შეხვედრის შემდეგ, რომელიც მოეწყო ამ ქალაქში საერთაშორისო ბაზრობის სპორტული დღესასწაულის პროგრამის შესაბამისად. 4:1 — ასეთი იყო საბჭოთა ფეხბურთელების მეორე გამარჯვების შედეგი.

ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა სოკოლოვმა. 21 წუთის შემდეგ ლატიშევმა ანგარიში გაადიდა 2:0. შემდეგ ვოროშილოვმა და კვლავ სოკოლოვმა თითო ბურთი გაიტანეს. 75-ე წუთზე კუთხურის შემდეგ ჰუმანმა გაქვითა ერთი ბურთი.

... ... „დინამოს“ საკონტროლო მატჩები

ახალი საფეხბურთო სეზონი, როგორც იტყვიან, კარზე მოგვადგა. ეს არის ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთის — მსოფლიო პირველობის, საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების, აგრეთვე მრავალ საერთაშორისო შეხვედრათა სეზონი.

ბევრი საზრუნავი აქვთ „ა“ და „ბ“ კლასის კოლექტივებს. პირველი წარმატება თუ წარუმატებლობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან გუნდები სტარტისათვის,

ცხადია, ჩემპიონატის დასაწყისი ზოგიერთი კოლექტივისათვის, მათ შორის თბილისის „დინამოსათვის“, აღვილი როდი იქნება, რადგან ამ გუნდების წამყვანი მოთამაშეები სსრ კავშირის ნაკრებში იმყოფებიან და ჩილის დასკვნითი ტურნირისათვის ემზადებიან.

რა გაეწყობა, ეს თითქმის საერთო მოვლენაა — განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა **ა. ღოღობერიძემ.** ამ მიზეზებს არავინ მიიღებს მხედველობაში, საჭიროა საგულდაგულო და შეუპოვარი მზადება იმ რეზერვით, რაც გაგვაჩნია. „დინამო“ სეზონს ყოველ მხრივ მომზადებული უნდა შეხვდეს.

მალე გადავალთ მთლიან რეჟიმზე. უთუოდ ბევრს დაგვეხმარება საკონტროლო მატჩები, რომლებიც თბილისში გაიმართება. მათი რიცხვი არც თუ ისე ცოტაა, ამასთანავე შერჩეული გვყავს ძლიერი მეტოქეები, რომლებმაც ჩვენთან შეხვედრაზე თანხმობა განაცხადეს.

ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ აინტერესებთ თუ ვის შეხვდებიან დინამოელები საკონტროლო მატჩებში, ან როგორი იქნება ამ ასპარეზობათა კალენდარი.

25 მარტს თბილისის „დინამო“ „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შეხვდება სსრ კავშირის ჩემპიონს კიევის „დინამოს“, 7 აპრილს — „ბ“ კლასის გუნდს — მოსკოვის სამხედრო ოლქის ფეხბურთელთა კოლექტივს, 18 აპრილს — მოსკოვის „ლოკომოტივს“, 22 აპრილს — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს, 26 აპრილს — მოსკოვის „დინამოს“. ამ გუნდების (გარდა მეო-სი) დუბლიორთა მატჩი შედგება წინადღით.

ჩემპიონატის ალამის აღმართვამდე თბილისელები ხაკუთარ მოედანზე იხილავენ პირველ საერთაშორისო მატჩს. ეს იქნება 11 აპრილს. დინამოელთა წინააღმდეგ ითამაშებს პოლონეთის პირველი ლიგის საკლუბო გუნდი.

კოხტაგორის ფერდობზე

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ალამი დაუშვეს, მაგრამ ამით აქ სათხილამურო სეზონი არ ამოწურულა.

გუშინ ბორჯომის ხეობის ამ მიმზიდველ კუთხეში დაიწყო სპორტული საზეიმოდ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში.

პირველ დღეს გაიმართა ტრამპლინიდან ხტომა. „დინამოს“ ჩემპიონი გახდა სევერდლოვსკელი ი. ზაკილიუკინი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ზ. თვაურმა მე-10 ადგილი დაიკავა.

დღეს დაიწყება ორჭიდელთა ასპარეზობა.

თბილისის კალათბურთელთა გამგზავრება

გუშინ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი მოსკოვიდან სტამბოლში გაემგზავრა. დინამოელები 17 მარტს ევროპის ჩემპიონთა თასის ვათამაშების მეოთხედფინალში შეხვდებიან თურქეთის ჩემპიონს „დარიუშაფაკის“ გუნდს.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.



16 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (მე-17 აბონ. მე-6 წარმ.), მარჯანიშვილის სახელობის — ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე, გრიბოედოვის სახელობის — მედოლე ქალი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეკარე (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — მეისრე, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ციცია (აბონ. № 34, 6 ს.).

ტელევიზია: 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობარი კოლკა“, 19.20 — გადაცემა — „მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა სამასწოლოდ“, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — სატელევიზიო ჟურნალი ახალგაზრდობისათვის — „ახალგაზრდული საქმეები“, 20.35 — კინოჟურნალი, 20.45 — საესტრადო კონცერტი — „ლირიკული სიმღერები“, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი „მრავალსახიანი კაცი“.

... ...